

## საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

### საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარლამენტი თავისი ბიუჯეტის მეშვეობით, არსებული შესაძლებლობისა და განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, ახორციელებს იმ პარლამენტის წევრის საბინაო პირობებით უზრუნველყოფას, რომელსაც არ გააჩნია თბილისში საცხოვრებელი ფართობი. აღნიშნულის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი შეისწავლის განცხადების საფუძვლიანობას, განმცხადებლის ქონებრივ დეკლარაციას (ქონებრივ დეკლარაციაში ქ. თბილისში საცხოვრებელი ბინის დაფიქსირების შემთხვევაში, მიუხედავად ბინის მდგომარეობისა, ბინის ქირის თანხა არ გაიცემა) და ამზადებს შესაბამის დასკვნას, რომელიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად. პარლამენტის წევრი ვალდებულია საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს წარუდგინოს მოთხოვნის შესაბამისად, განცხადების საფუძვლიანობის შესწავლისათვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტაცია. ბიუროს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პარლამენტის წევრი საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტს წარუდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას ბინის ქირაფლობის შესახებ. ბინის ქირაფლობისათვის გამოყოფილი თანხა ირიცხება ბინის ქირაფლობის ხელშეკრულებაში მითითებულ გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე.“

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე